საქართველოს მთავრობის

დადგენილება №250

2016 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

„ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის №290 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის №290 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/07/2012, 200110000.10.003.016964) შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

„დანართი

ინფორმაცია

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრის შესახებ

1. დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების პერიოდი:

წელი……. თვე……

2. _____

საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის დასახელება

3. საიდენტიფიკაციო ნომერი

4. დასაბეგრი ოპერაციის მონაცემები:

№	საქონლის/ სამეურვეო ქონების მესაკუთრის დასახელება	საქონლის/ სამეურვეო ქონების მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი	საქონლის/ სამეურვეო ქონების მყიდველის დასახელება	საქონლის/ სამეურვეო ქონების მყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი	რეალიზებული საქონლის/ სამეურვეო ქონების სახეობა	რეალიზებული საქონლის/ სამეურვეო ქონების რაოდენობა	საქონლის/ სამეურვეო ქონების რეალიზაციის თარიღი	საქონლის/ სამეურვეო ქონების სარეალიზაციო ფასი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ჯამი:									

ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი (უფლებამოსილი წარმომადგენელი) _____

_____

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა).“.